41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ხულოელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ხულოს მერობის კანდიდატისა და ხულოს საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ხულოს განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხულო და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს ხულოს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 5 მლნ 67 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზოდ, საბიუჯეტო ხარჯები 9 მლნ 419 ათასი ლარია. იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 7 მლნ 190 ათას ლარს შეადგენდა, 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი 15 მლნ 957 ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ხულოს მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგრამით **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა**, 2012-2021 წლებში, ბენეფიციარებს, ჯამურად 2 960 357 ლარის მოცულობის 993 ერთეული სხვადასხვა სახის მცირე მექანიზაციის ტექნუკური საშუალებები გადაეცათ (თანამონაწილეობა 2 050 064 ლარი). **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისთვის მოქმედებს 11 კოოპერატივი (159 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 123 580 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 25-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და, ჯამურად, 864 300 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 96 326 ლარი). **მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 113,82 ჰექტარზე გაშენდა მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები (ღირებულება 509 566 ლარი, თანამონაწილეობა 370 633 ლარი), რითაც 596-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ბენეფიციარებს ჯამურად 215 242 ლარის, 72 ერთეული სასათბურე მეურნეობა გადაეცათ (თანამონაწილეობა 150 669 ლარი). **სოფლის განვითარების პროგრამით,** 2020 წლიდან 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 7 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 7 ხელშეკრულება (ინვესტიცია 1 271 214 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსებაა 801 731 ლარი). პროგრამით **აგრო-მომსახურეობის განვითარების ხელშეწყობა,** 2020-2021 წლებში, დაიხნა 519 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ფართობი (112 365 ლარი). პროგრამით **მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა,** 2019-2021 წლებში, ბენეფიციარებს ჯამურად 9500 ლარის 95 ფუტკრის ოჯახი გადაეცათ.

ხულო-ზარზმის გზის სამუშაოები

სამელიორაციო სამუშაოებზე, 2019-2020 წლებში, დაიხარჯა 622 832 ლარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 სარწყავ არხს (ჯამური სიგრძე 33,52 კმ), წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 491 ჰექტრამდე გაიზარდა.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ხულოს მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 357 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ხულოს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (50 000 ლარი, დასაქმებულია 3 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 3 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 26 590 000 ლარი შეადგინა, დასაქმდა 147 ადამიანი, ჯამურად ხულოს 170 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 604 116 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 2 029 730 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 234 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 151, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 83 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, აჭარის რეგიონში 6 ჰიდროელექტროსადგური აშენდა (კინტრიშა ჰესი, ხელვაჩაური ჰესი 1, შუახევი ჰესი, სკურდიდი ჰესი, კირნათი ჰესი და სხალთა ჰესი). მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 269 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 817 მლნ კვტ/სთ, ჯამური ინვესტიცია 781 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 6 ჰესი: კირნათი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 51 მგვტ, 90 000 000 დოლარი; **სკურდიდი3 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,45 მგვტ, 1,34 მლნ აშშ დოლარი; **სკურჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,98 მგვტ, 3,2 მლნ აშშ დოლარი; **გოგინაური ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 4,72 მგვტ, 5 420 000 აშშ დოლარი; **აკავრეთა ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ, 35 მლნ აშშ დოლარი; **შევაბური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,96 მგვტ, 3 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 1** – დადგმ.სიმძლავრე 1.08 მგვტ, 1.66 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 2** – დადგმ. სიმძლავრე – 1.55 მგვტ, 2.1 მლნ.აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 3** – დადგმ.სიმძლავრე – 1.99 მგვტ, 2.7 მლნ აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ხულოს მუნიციპალიტეტში, 2 ათასზე მეტ აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2021-2024 წლებში იგეგმება ხულოს მუნიციპალიტეტის 3 დასახლების: დაბა ხულოს, ქვემო ვაშლოვანისა და თხილაძირის **გაზიფიცირება** (805 აბონენტი). აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2019 წლიდან მიმდინარეობს შუახევი (ხიჭაურის დასახლება)-ხულოს(გოდერძის უღელტეხილი) გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები (საერთო სიგრძე – 54 200 მ, ღირებულება 2 6456 052,02 ლარი).

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტში ხორციელდება ტურისტული მარშრუტების კვლევა და რეგიონის ტურისტული რესურსების ინვენტარიზაცია. 2013-2016 წლებში, ხულოში, **ორი მსხვილმასშტაბიანი ტურისტული პროექტი** განხორციელდა: კურორტ გოდერძის განვითარების პროექტი; კურორტ ბეშუმის განვითარების პროექტი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, დაგეგმილია ან განხორციელების ფაზაშია ახალი ტურისტული პროექტები, მათ შორის: მწვანე ტბასთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია; შქერნალის ალპური ბოტანიკური ბაღის გაშენება; ხიხანის ციხესთან მისასვლელი ს/

გზის რეაბილიტაცია; კურორტ გოდერძის ტურისტული ზონის გამწვანებაკეთილმოწყობა; კურორტ ბეშუმთან მისასვლელი ს/გზის მოასფალტება; კურორტ ბეშუმის შიდაგზების მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკების (ტროტუარების) მოწყობა; გოდერძი-მწვანეტბის გზის რკინა/ბეტონის საფარის მოწესრიგება; ხულოს საბაგიროს რეაბილიტაცია; ხიხაძირი-თხილვანა-ბაკოს გზის ასფალტის საფარის მოწესრიგება; ხიხანის ციხის კოშკურების რეაბილიტაცია; ხიხაძირი-თხილვანა-ბაკოს გზის საფარის რეაბილიტაცია.

2020 წელს დაიგეგმა კანიონინგის, როგორც ახალი და ექსტრემალური ტურისტული პროდუქტის განვითარება, სოფელ უჩხოში, სადაც მოხდება ჩანჩქერების დახვრეტა და შესაბამისი აღჭურვა. ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება ასევე ინსტრუქტორების გადამზადება/ტრენინგი და მათი აღჭურვა ჰიდროკოსტუმირებითა და ინვენტარით. ასევე ხიხანის ციხეზე ასასვლელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბილიკის დაპროექტება, მოსასვენებელი სივრცეებითა და პანორამული პლატფორმებით. 2021-ში დაიგეგმა ხიხანის ასასვლელი ბილიკის მშენებლობა (ბიუჯეტი 865 000 ლარი);

2015-2021 წლებში, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს იდენტიფიცირებული მარშრუტების, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ღვინის მარნების მარკირებას. ხულოს ტურისტული ლოკაციებისა და მარშრუტების ცნობადობის გაზრდის და პოპულარიზაციის მიზნით, ორგანიზება გაეწია საინფორმაციო გაცნობით ტურებს;

2021 წელს დაიგეგმა კულინარიული ექსპედიცია – კვლევა მოიცავს აჭარის ა/რ ხუთივე მუნიციპალიტეტს, აღმოაჩენს მივიწყებულ კერძებსა და ტრადიციებს, რასაც ერთ სახელმძღვანელოში გააერთიანებს.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის, 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელოზემო სვანეთში.

2020 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია. ტყის აღდგენითი** სამუშაოები განხორციელდა 509 კვ.მ ფართობზე. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 176 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს და** ამზადებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. უწყვეტად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, მუშავდება რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე;

სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმით, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მლნ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, ხულოს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ხულოში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჯამურად 47 359 589 ლარი დაიხარჯა. 51,1 კმ გზის რეაბილიტაცია 23 011 586 ლარით დაფინანსდა, ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა 6 960 654 ლარით, კერძოდ, აშენდა 290 საყრდენი კედელი და დამცავი ნაგებობა, ასევე 11 ახალი ხიდი და რეაბილიტირდა 14 არსებული ხიდი. გზების მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 16 522 684 ლარი.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ, 2017-2021 წლებში, 4.3 მლნ ლარი დახარჯა შიდასასოფლო გზებზე **ბეტონის საფარის მოწყობაზე** (ჯამში 60 კმ). 2022-2025 წლებში დამატებით 5 მლნ ლარის სამუშაოები იგეგმება. 2013-2021 წლებში, მერიამ სხვადასხვა სოფელში 511 000 ლარით დააფინანსა **სანიაღვრე არხებისა და წყალგამტარების მოწყობა.** 2022-2025 წლებში 600 000 ლარის სამუშაოები იგეგმება. 2013-2021 წლებში, 3 000 000 ლარამდეა დახარჯული სხვადასხვა ლოკაციაზე **საყრდენი კედლების მოწყობაზე.** 2022-2025 წლებში იგივე თანხის სამუშაოების განხორციელდება.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, ხულოს მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, 41 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 509 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2021-2023 წლებში, ხულოში, **წყალმომარაგების** გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 56,5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების პროექტები სოფლებში: დაბა ხულო, ქვემო ვაშლოვანი, ოქრუაშვილები, დუაძეები, განახლება, დეკანაშვილები, ზედა დეკანაშვილები, თხილაძირი, ძირკვაძეები, დიოკნისი, გურძაული, ძმაგულა (დამატებით 1 571 ოჯახი).

2021-2022 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲮᲣᲚᲮᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ ᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ:

- გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის იაილა (შავი ტბა, ტურისტული მიმართულება) – გზის რეაბილიტაცია;
- ყინჩაური-წაბლანა – ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
- ვაშლოვანი-შურმული – ბეტონის საფარის პერიოდული შეკეთება;
- დიდაჭარა-საციხური-გელაური – ახალი ხიდის მშენებლობა;
- ლოდიძირი-საკამბეჩო – ახალი ხიდის მშენებლობა;
- რიყეთი-გასაყარი – ახალი ხიდის მშენებლობა;
- ხულო-ძირკვაძეები – სწორკუთხა რკინაბეტონის მილის მოწყობა;
- ვაშლოვანი-შურმული – ახალი ხიდის მშენებლობა;
- ყინჩაური-ძმაგულა – ახალი ხიდის მშენებლობა.;
- ყინჩაური-ფაჩხა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- პაქსაძეები-იაკობაძეები – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დიდაჭარის გზა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- თაგოს გზაზე – საყრდენი კედლის მოწყობა;
- გაღმა-დეკანაშვილები – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დიდაჭარა-საციხური-გელაური – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ღორჯომი-აგარა-საციხური – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ბოძაურის გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა;
- ღორჯომი-დავლაძეების უბანი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ვაშლოვანი-შურმული – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ჩაოს გზაზე – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ქედლები-თხილაძირი-ჭოლონი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ქედლები-თხილაძირი-ჭოლონი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- რიყეთი-გასაყარი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- სხალთა-ყინჩაური – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ყინჩაური-ფაჩხა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ვაშლოვნის საუბნო მონაკვეთები (გორავლები) -საყრდენი კედლის მოწყობა;
- ვაშლოვანი-სხანდარა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ქედლები-მეხეშურის უბანი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- პაქსაძეები-იაკობაძეები – საყრდენი კედლის მოწყობა ;
- სკვანის გზა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- მთისუბნის გზა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ხიხაძირი-ბაკო-თხილვანა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- თხილვანის გზა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ვერნები-მახალაკური – საყრდენი კედლის მოწყობა ;
- რიყეთი-ახო – საყრდენი კედლის მოწყობა;
- შუასოფლის გზაზე – საყრდენი კედლის მოწყობა;
- თაგოს გზა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ვაშლოვანი-სხანდარა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ფუშრუკაული-რაქვთა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ვერნები-ოშანახევი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ირემაძეები-სკვანა – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დიდაჭარის გზა (შავაძეების უბანი) – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დუაძეები-ჩახრახების უბანი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- გელაურა-ველათი-ქვაბისჯვარი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დიდაჭარა-ნაეკლესვარი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დიდაჭარა-საციხური-გელაური – საყრდენი კედლის მოწყობა;
- რიყეთი-დიდი რიყეთი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- რიყეთი-დიდი რიყეთი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- უჩხო-ნავანების უბანი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- სამეურნეო ეზო – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ღორჯომი-აგარა-საციხური – საყრდენი კედლის მოწყობა;
- დიდაჭარა-საციხური-გელაური – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ცენტრალური გზა-ტოტობანის უბანი – საყრდენი კედლის მოწყობა;
- ჩაოს გზა – რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობა ცხაურებით;
- რიყეთი-დიდი რიყეთი რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობა;
- რიყეთი-კაპნისთავი რკა/ბეტონის კიუვეტის მოწყობა.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ: „ᲛᲔ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲣᲚᲝᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ!“

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲮᲣᲚᲝᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲨᲘᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲣᲬᲣᲠᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲮᲣᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲐᲛᲝᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ.

ᲮᲣᲚᲝᲨᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲛᲔᲠᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲒᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲝ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗ ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ 4 ᲮᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲨᲘ ᲐᲓᲘᲝᲓᲐ, ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲚᲔᲝᲑᲘᲗ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲮᲐᲕᲓᲐ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ, ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲙᲘ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘᲪᲐᲐ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ, ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ:

დაიბადა 1974 წლის 20 ივნისს, ხულოში.

1991 წელს დაამთავრა სოფელ ღორჯომის საშუალო სკოლა; 1994-1999 წლებში სწავლობდა ბათუმის ერთაშორის ინსტიტუტში „მეგობრობა“, იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია; 1996-2000 წლებში მუშაობდა შსს ქალაქ ბათუმის ობიექტების დაცვის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში; 2000-2001 წლებში – შსს ხულოს რაიონული განყოფილების ღორჯომის ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორად; 2001-2005 წლებში იყო შსს ხულოს რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორი; 2005-2008 წლებში – შსს ხულოს რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი; 2008-2012 წლებში მუშაობდა შსს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს ხულოს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსის პოზიციაზე; 2012-2017 წლებში იყო შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს უფროსი; 2017-2018 წლებში მუშაობდა შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ; 2018 წლის ივლის-ოქტომბერში მუშაობდა შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს უფროსის პოზიციაზე; 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის ივნისამდე იყო ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/მერის მოვალეობის შემსრულებელი; 2019 წლის 10 ივნისიდან არის ხულოს მუნიციპალიტეტის არჩეული მერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– „ქართული ოცნების“ გუნდი ერთადერთია, რომელიც ადამიანის ღირსებას აფასებს, ზრუნავს ადამიანის კეთილდღეობაზე, პატივსა და ღირსებაზე. ამ გუნდმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს და განავითაროს. სწორედ ამიტომ კვლავ „ქართული ოცნების“ რიგებში ვრჩები და მზად ვარ, მათთან ერთად ვემსახურო ხალხს.

– აქამდე როგორ ემსახურეთ ხალხს და ხულოს მუნიციპალიტეტში მერის პოზიციიდან რა გააკეთეთ?

– ეს ალბათ საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. სხვათაშორის, მათგან ძალიან დიდ პატივისცემას და სითბოს ვგრძნობ და ეს ალბათ იმის დამსახურებაცაა, რომ ხედავენ, მათ კეთილდღეობაზე ვზრუნავთ და ბევრ რამეს ვაკეთებთ. დავიწყებ იმით, რომ ამ სამი წლის განმავლობაში, ჩვენი, ადგილობრივი ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდებოდა, წელს კი ისტორიულ, უპრეცედენტო ნიშნულს მიაღწია – 17 მილიონ 300 ათასი ლარი. ეს თანხა მოხმარდება ხულოს მოსახლეობის კეთილდღეობას და ყოველი თეთრი დაიხარჯება იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ. ამ სამ წელში, ძალიან ბევრი საკითხი გადავწყვიტეთ, რომლებიც წლების განმავლობაში იყო გადაუჭრელი. იყო ძალიან დიდი გამოწვევები. მაგალითად, შევძელით და დავიწყეთ ბათუმი-ახალციხის, ხულო-ადიგენის მონაკვეთის გზის მშენებლობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და 1985 წლიდან დღემდე აქ არანაირი რეაბილიტაცია არ ჩატარებულა. ბავშვობიდან დაწყებული მესმოდა, რომ ეს გზა იყო გასაკეთებელი და ვერასდროს ვერ მოხერხდა ამის გაკეთება. ამაყი ვარ, რომ ჩემი მერობის პერიოდში დავიწყეთ ამაზე მუშაობა და ხულოს და არა მარტო ხულოს ეს ოცნება ასრულდება. ჩვენ გვაქვს აღებული კურსი, რომ ხულოში ყველა მოსახლემ უნდა ისარგებლოს კეთილმოწყობილი გზით. ვგულისხმობ, გზების მოწესრიგებას შიდასაუბნო დონეზე. ჩვენს მთიან ხულოში, წელიწადში დაახლოებით 50-60 კმ გზას ვაწესრიგებთ. რამდენიმე წელში, მუნიციპალიტეტში არ გვეყოლება არც ერთი ოჯახი, რომ სახლამდე მისასვლელი გზა არ ჰქონდეს ისეთი, როგორიც უკვე არის სოფლის ცენტრებში. ასევე ჩვენ დროს დაიწყო გაზიფიცირების პროექტი, რაზეც 9-10 წლის წინ ვერც იოცნებებდა ხულოელი ადამიანი. დაბა ხულოს უკვე ბუნებრივი აირი აინთო, გოდერძიზეც, ხდება სოფლების დაპროექტებაც. 10 წლის წინ შესაძლებელია ვიღაცას ზღაპრად მოსჩვენებოდა, რომ ხულოში ბუნებრივი აირი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ დღეს ეს რეალობად ვაქციეთ. ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება წყლის საკითხი, თუმცა დაწყებული გვაქვს მისი მოგვარება. დაბა ხულოსა და 11 მიმდებარე სოფელში დაიწყება სამუშაოები. ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი საერთაშორისო ბანკების დახმარებით განხორციელდება – დაახლოებით 1600 ოჯახს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება. პარალელურად, ამ სოფლებში, წყალარინების საკითხიც იქნება გადაწყვეტილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცესი გაგრძელდება და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხულოში, წყალმომარაგების საკითხი, ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას.

– ხულოს მუნიციპალიტეტს უდიდესი ტურისტული პოტენციალი აქვს. ტურისტული ინფრასტრუქტურაც მოაწესრიგეთ?

– ტურიზმის სფეროს განვითარება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია. ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ ამ სამ წელიწადში. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ვთანამშრომლობდით და არაერთი პროექტი განვახორციელეთ ან დავგეგმეთ. ხიხანის ციხეზე დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობა. იქ ასვლა თითქმის შეუძლებელი იყო. მილიონ ლარამდე იხარჯება, რათა მოწესრიგდეს ასასვლელი ბილიკები და აღნიშნული ისტორიული, ტურისტული ადგილი იყოს უფრო ხელმისაწვდომი. როგორც ხიხანი, ისე მწვანე ტბა არის ჩვენი სავიზიტო ბარათი. აქაც მანქანებს ტოვებდნენ ადამიანები და დაახლოებით 6 კმ გზაზე გადაადგილება იყო ძალიან რთული. დღეს იქ გვაქვს რკინა-ბეტონით აგებული გზა, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა. ასევე დაემატა ახალი ტურისტული ლოკაცია მწვანე ტბიდან შავ ტბამდე, რომელზეც საგზაო ინფრასტრუქტურა მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა გრძელდება და რაც შეგვიძლია ხელი შევუწყეთ კურორტ გოდერძის განვითარებას. არაერთი სასტუმრო აშენდა და უკვე მზად არიან ზამთრის სეზონზე მიიღონ ტურისტები. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ გოდერძი ზაფხულის კურორტადაც ვაქციოთ და ოთხივე სეზონზე იყოს დატვირთული. ძალიან დიდი მუშაობა მიმდინარეობს, სახელმწიფო და ხულოს მუნიციპალიტეტი ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის და ხელს ვუწყობთ, რომ ეს იყოს განვითარებული და ისეთი მნიშვნელოვანი კურორტი, როგორიც ჩვენ გვინდა, როგორიც ჩვენ მოსახლეობას და ქვეყანას ჭირდება. ასევე, ჩვენგან ძალიან დიდი ხელშეწყობა ჰქონდა კერძო სექტორს – საოჯახო სასტუმროებს და დაბა ხულოს მოწესრიგებას ინფრასტრუქტურული მიმართულებით. წელს მხოლოდ დაბაში, ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობისთვის, 2 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

– გაზრდილი ბიუჯეტით, სოციალური პროგრამების რაოდენობა ან მოცულობა თუ გაზარდეთ?

– რა თქმა უნდა, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მივმართეთ მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების განხორციელებაზე. წელს 1 მილიონ 700 ათასი ლარი იყო ამ მიმართულებით გათვალისწინებული. ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამის გარდა, წელს გვქონდა „სიძველის პროგრამა“ – მოწყვლადი ჯგუფების შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰქონდათ გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები ვეხმარებით. ამ პროგრამას სამი თანამონაწილე ჰყავს. სოფელი, რომელიც სოფლის კრებაზე ოჯახს ირჩევს,

ჩვენ – 10 ათასამდე ლარის ფარგლებში თანამონაწილეობით და სახლის მეპატრონე. პროგრამის ფარგლებში ძველ სახლებს ახლით ვცვლით. სოფელი კი, ფიზიკურადაც ეხმარება მეპატრონეს მშენებლობის პროცესში. ასეთ 40 სახლს ვაკეთებთ წელს. ასევე, დაახლოებით 50-60 სახლს სახურავები შევუცვალეთ. გვქონდა, მედიკამენტებით 200-ლარიანი ვაუჩერი, რომლითაც 1700 ბენეფიციარი დავაკმაყოფილეთ. პროგრამები გაგრძელდება და, რა თქმა უნდა, სამომავლოდ, ახალი პროგრამებიც იქნება. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, თუმცა ვისურვებდი, ჩვენ ქვეყანაში, ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ მოსახლეობას აღარ ჰქონდეს სოციალური პროგრამების საჭიროება.

– სოფლის მეურნეობის მიმართულებით ხელისუფლება არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. მათ შესახებ მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია აქვს?

– სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის თუ სხვა მიმართულებით ხულოს დიდი პოტენციალი აქვს. პროგრამების შესახებაც ფლობდნენ ინფორმაციას. ძალიან ბევრმა ახალგაზრდამაც ისარგებლა ამ სიკეთეებით. გვაქვს გარკვეული, დღეს უკვე თვალსაჩინო სიახლეებიც. მაგალითად, კაკლის ბაღების გაშენება ძალიან ბევრმა ადგილობრივმა დაიწყო. რამდენიმე ახალგაზრდების ოჯახი ქალაქიდან ამოვიდა და თამბაქოს კულტურა შემოიტანეს. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობა ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ტურიზმს ფეხდაფეხ მიყვება, რადგან კარგია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს როცა სთავაზობ სტუმარს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სხვათაშორის, ხულოში გავხსენით პროფესიული სასწავლებელი. აქ ისწავლება ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი არაერთი პროფესია, სოფლის მეურნეობასთან, ტურიზმთან თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული. ვგულისხმობ, მაგალითად ვეტერინარის, სასტუმროს ადმინისტრატორის, შემდუღებლის... პროფესიას. ამან ხელი უკვე შეუწყო ადგილობრივების დასაქმებას, რაც ძალიან კარგი სიახლეა.

– გამოდის, პროგრესი ყველა მიმართულებით თვალშისაცემია. პოლიციაში 22-წლიანი სტაჟის მქონე, დღეს როგორ აფასებთ სტრუქტურის მუშაობას და ამ სფეროშიც თუა წინსვლა?

– სამართალი ბავშვობიდანვე მაინტერესებდა. ყოველთვის ვიყავი კანონმორჩილი და მიმაჩნდა, რომ ქვეყანაში კანონს აუცილებლად უნდა ეკანონა. ფაქტობრივად, სხვა პროფესიაზე არც არასდროს მიფიქრია. სკოლაშივე ვიცოდი, რომ იურიდიულზე ჩავაბარებდი. 22 წელი ვიმუშავე შინაგან საქმეთა ორგანოებში და ამ წლების განმავლობაში აბსოლუტურად აპოლიტიკური ვიყავი. 22 წლიდან, ფაქტობრივად 18 წელი ვიყავი უშუალოდ ხულოში და ამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვემსახურებოდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს პოლიცია არის სრულიად თავისუფალი. პოლიციელები დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. მათ საქმიანობაში არავინ ერევა. დღეს ამ სფეროში მუშაობა უფრო მეტად საამაყოა. პოლიციელს თამამად შეუძლია თქვას, რომ ღირსეულად ემსახურება სამშობლოს. პროგრესი ყველა მიმართულებითაა და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ხელისუფლება ქვეყნის განვითარებაზეა ორიენტირებული.

– თქვენ კი – ხულოს განვითარებაზე. რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– დიახ, ხულოს მერობისთვის ბრძოლა კიდევ ერთხელ იმიტომ გადავწყვიტე, რომ მაქსიმალურად დიდი როლი ვითამაშო მის განვითარებაში. ყველა დაწყებული მნიშვნელოვანი პროექტი უნდა დასრულდეს. გზა დაწყებულია და მივიყვანთ ბოლომდე. გაზიფიცირების მაგისტრალი გაკეთებულია და ვპირდები ხულოს 83 სოფლის 8500 ოჯახს, ყველასთან მივიყვანთ ბუნებრივ აირს. რაც მთავარია, ყველა, მათ შორის ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართულებითაც, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე წყალთან დაკავშირებით საკითხსაც აუცილებლად დავასრულებთ. გავაგრძელებთ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და ახალ ტურისტულ ადგილებს გავაჩენთ, რის პოტენციალიც აქვს ხულოს მუნიციპალიტეტს. ამის ხარჯზე ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება, რაც რა თქმა უნდა, შემოსავალს მოუტანს მოსახლეობას. ასევე, არ შეიცვლება ჩვენი მიდგომა – მაქსიმალურად ხშირი შეხვედრები, რათა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნას მათი საჭიროებები. გვაქვს პრეტენზია და ამბიცია, რომ ხულო გახდეს ერთ-ერთი წარმატებული და კარგი მუნიციპალიტეტი, რასაც ხალხთან ერთად ვაპირებთ.

– როგორ არჩევნებს ელით – მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი გაქვთ?

– სადაც მიცხოვრია, მიმუშავია, ჩემი ხალხის სიყვარული და პატივისცემა არ მომკლებია. მეტიც, ისიც კი შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ განებივრებულიც კი ვარ. ეს მაძლიერებს და მაძლევს სტიმულს, გავაკეთო ყველაფერი, რომ მათი ნდობა გავამართლო. დარწმუნებული ვარ, ძალიან მშვიდ გარემოში ჩაივლის არჩევნები და აუცილებლად გავიმარჯვებთ, თან დამაჯერებლად. მე ვიქნები ხულოს მუნიციპალიტეტში ყველას მერი, ყველას აუცილებლად დავეხმარები, როცა ამის საჭიროება ექნებათ. დარწმუნებული ვარ, ამ გუნდთან ერთად, გამარჯვების შემთხვევაში, ხულოს მუნიციპალიტეტისთვის ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებ.

„მეამაყება ჩემი ოჯახი და ყველა ნაბიჯი, რომელიც ცხოვრებაში გადავდგი“

ოჯახისთვის დრო იმ დოზით არ რჩება როგორც სურს, მაგრამ ამ რეჟიმით ცხოვრებას შეეჩვია. კომპენსაცია მისი აქტიურობით გაკეთებული ის საქმეებია, რომელთა შედეგსაც ხულოს მუნიციპალიტეტის ყველა ნაბიჯზე შეხვდებით. არადა, გული მუდმივად სახლისკენ მიუწევს. აქ მას ყველაზე საყვარელი გულშემატკივრები ელოდებიან.

დიდი ოჯახის დიასახლისი კანდიდატის ბავშვობის სიყვარული – ნანული ჭელიძე-ბერიძეა, რომელიც სკოლის დასრულებისთანავე შეირთო ცოლად. ორი შვილი ჰყავთ. ქალიშვილი, ლეილა პროფესიით იურისტ – გამომძიებელ ირაკლი ბერიძეზეა დაქორწინებული და 2 შვილს ზრდის. უფროსი ნინი 8 წლისაა, ელენე კი 6-ის. ნინი ძალიან ნიჭიერი და ბეჯითი მოსწავლეა. გატაცებულია ცეკვით, სიმღერით, სწავლობს ფანდურზე დაკვრასაც. ნინი პატარა დაიკოსთვის სამაგალითოა – ელენე მას ხშირად ბაძავს. ამ ბიბაძვა-მიბაძვაში იმას მიაღწია, რომ წერაც ისწავლა, კითხვაც და არაერთი სიტყვაც დაიზეპირა ინგლისურად. არადა, სკოლაში წელს შევა. შვილიშვილებს ახალგაზრდა ბაბუა განსაკუთრებით უყვართ. მითუმეტეს, რომ ბატონი ვახტანგი მათ საკმაოდ ანებივრებს – თავისუფალ დროს სასეირნოდაც დაჰყავს და მათთვის საყვარელ საკანცელარიო მაღაზიაშიც.

თემურ ბერიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი დაამთავრა. მან ცხოვრების თანამგზავრად ამავე პროფესიის ახალგაზრდა ირინა გუნდაძე აირჩია.

კანდიდატი მალე სამგზის ბაბუა გახდება. ეს უდიდეს ბედნიერებასთან ერთად, ნიშნავს სამჯერ მეტ პასუხისმგებლობას – ისე უნდა იცხოვროს, ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რომ შვილიშვილები მისით ამაყობდნენ. ამ გრძნობას თავად ძალიან კარგად იცნობს. ყოველთვის ამაყობდა წინაპრებით, ოჯახის ისტორიითა და განვლილი ცხოვრებით: სოფელ მერჩხეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მის აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დედამ, მაყვალა ბერიძემ. ბაბუა ბაირამ ბერიძე, წლების განმავლობაში, კოლმეურნეობაში, შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. მამა, იოსებ ბერიძე, ძირითადად საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. 1988 წელს კი ტრაგედია შეემთხვა და ფეხი მოკვეთეს. ბატონი ვახტანგი იძულებული გახდა ოჯახს მაქსიმალურად დადგომოდა გვერდით. უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება დროებით გადადო. ძალიან ახალგაზრდამ ბათუმის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში დაიწყო მუშაობა. სპეციფიკა არ იცოდა, მაგრამ ალღო მალე აუღო. 4 წელი იმუშავა, ჯერ რიგით მეხანძრედ, შემდეგ ოცეულის მეთაურად. ბათუმში დიდხანს ვერ გაძლო და ფესვებს დაუბრუნდა. პროფესიით უმეტესად ხულოში იმუშავა. ერთი პერიოდი გამომძიებელიც იყო. „მეამაყება ყველა ნაბიჯი, რომელიც ცხოვრებაში გადავდგი. ყველა პოზიციაზე ყოფნა თავისებურად საინტერესო და საამაყო, კრიმინალურ პოლიციაში მუშაობა კი – განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუმცა რთულიც – ეს არის ადგილი, სადაც 24-საათიან რეჟიმში მუშაობ. თამამად ვიტყვი, რომ ოჯახმა მაქსიმალურად შემიწყო ხელი, სხვაგვარად, ამ სფეროში წარმატებებს ვერ მივაღწევდი“, – ამბობს კანდიდატი.

ოჯახის ხელშეწყობის გარეშე ვერც წარმატებული მერი იქნებოდა. ამიტომ, ოჯახის წევრების განსაკუთრებით მადლობელია. ისინი მაქსიმალურად უდგანან გვერდით და მხარს უჭერენ. არც იმის გამო საყვედურობენ, რომ მათთვის დიდი დრო არ რჩება – იციან, ვახტანგ ბერიძეს სხვაგვარად არ შეუძლია – მშობლიური ხულოსა და ხულოელებისთვის მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ხულოს მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 31 244 389 ლარი, დაფინანსდა 84 050 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 041 101,9 ლარით 88 924 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (6 003 585 ლარი 60 389 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (15 232 250 ლარით 11 510 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 690 609 ლარით 6 172 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 758 950 ლარით 3 036 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (800 070 ლარით 1 187 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, 2017-2021 წლებში, **ხულოს მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 3987 ბენეფიციარი (236 822 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს **13 დაავადების პრევენციას,** წარმატებით დაინერგა **5 ახალი ვაქცინა.** ხულოს მუნიციპალიტეტში 92%-დან 97,3%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება. 2013 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში 179-მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით (356 431 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 2 592-მა (210 584 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ხულოს მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 5 351-მა (317 099 ლ), მედიკამენტებით – 1286-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ხულოს მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 215 პირი (48 246 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ხულოს** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ხულოში**, 2013-2021 წლებში სულ 210 შემთხვევა 250 823 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ხულოს მუნიციპალიტეტს 43 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ხულოს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

თემის სამედიცინო პუნქტების მშენებლობა ბოძაურში (9 625 ლ), მთისუბანში (5 931 ლ), გურძაულში (9 886 ლ), ამბულატორიის საძირკვლისა და გარე კომუნიკაციების მოწყობა დიდაჭარაში (6 814 ლ), მბულატორიების რემონტი სოფლებში: თხილვანა, ფუშრუკაული, რიყეთი, აგარა, დიოკნისი (34 994 ლ). **ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა:** მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 73 ოჯახისათვის, სოფელი ზედა ვაშლოვანი (3 716 429 ლ).

2013 წელთან შედარებით **თითქმის 2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 454,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 225,9 ათასი ლარი იყო. მუნიციპალიტეტის მიერ, 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება **5 მუნიციპალური პროგრამა.**

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ხულოს მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 4 612 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,2-ჯერ – 5 877 860 ლარიდან 12 764 733 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2019 წლებში, სულ 82 191 080 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ხულოში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 52 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,1-ჯერ – 49 600-დან 206 045 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 265 961 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ხულოს მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1832 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1,8-ჯერ – 2 285 ათასიდან 5 225 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 35 098 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 5 721 ათასი, შშმ პირებზე – 3 116 ათასი, ბავშვებზე – 14 050 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ხულოში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 2 149 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,9-ჯერ – 627 564-დან 3 711 754 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 24 401

512 ლარი. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ხულოში, დაფინანსებულია 390 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 887 500 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 649 700 ლარი.

ხულოს მუნიციპალიტეტში, 2012-2021 წლებში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროში, განხორციელდა/ხორციელდება სულ 15 მუნიციპალური პროგრამა.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ხულოს მუნიციპალიტეტზე** – 2 763 745 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 988 ოჯახი, 2021 წელს – 1140 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ხულოს მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, ისარგებლა 400-მა ოჯახმა, 2021 წელს (ივნისის მონაცემებით) – 415-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ხულოში აღნიშნულ პროგრამაში 2020 წელს ჩაერთო 474 პირი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 485.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა. მათ შორის: ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და მძიმე ტრამვული დაზიანებების მქონე სოცილურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის (0-100 000-მდე ქულა) საცხოვრებელი სახლების სახურავებისათვის თუნუქის ფურცლების შეძენის მიზნობრივი პროგრამა, ავარიული სახლების მქონე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხელშეწყობა, მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისათვის ყოველთვიური ფინანსური დახმარება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განახლებული საჯარო სკოლა ხულოში

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ხულოში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღების გაერთიანება. მუნიციპალიტეტში, 23 საბავშვო ბაღია. 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, აღსაზრდელთა რაოდენობა 241-დან 670-მდე გაიზარდა.

2013 წლის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხულოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** თუ 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები 640 ათასი ლარით განისაზღვრა, 2020 წელს შესაბამისმა მაჩვენებელმა **2,2 მლნ** ლარი შეადგინა. 2020 წელს, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების დასანერგად, განხორციელდა მუნიციპალური საჭიროებების შესწავლა, ადგილობრივი რესურსების დაგეგმვა და საბიუჯეტო სახსრების განსაზღვრა. ხულოს მუნიციპალიტეტში, **2018 წლიდან 2021 წლის** ჩათვლით პერიოდში, სკოლამდელი დაწესებულებების **დაფინანსება 1 500 000 ლარიდან 1 960 000 ლარამდე გაიზარდა.** 2,5-დან 3,5-მდე გაიზარდა **კვების თანხაც** თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 27 ჯგუფში, 23 საბავშვო ბაღსა და 4 ალტერნატიულ ცენტრში (მათ შორის 1 – დაბაში, 26 – სოფლად). პროგრამაში ჩართულია – 110 აღსაზრდელი. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 88 აღმზრდელ-პედაგოგი, 24 ექთანი, 7 ფსიქოლოგი და 7 ლოგოპედი.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის:

2018 წელს დასრულდა ზედა ვაშლოვნის (259,0 ათასი ლარი), ბეღელეთისა (215,2 ათასი ლარი) და ბოძაურის (272,1 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების მშენებლობა;

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სოფელ უჩხოს საბავშვო ბაღში – (102,6) ათასი ლარი;

2020 წელს დასრულდა სოფელ ღორჯომის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რისთვისაც დაიხარჯა **212 000 ლარი.**

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 49 საჯარო სკოლა. სკოლებში 3015 მოსწავლე, 879 მასწავლებელი და 16 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, ხულოში, იდენტიფიცირებულია 34 სსსმ მოსწავლე. 2020 წლიდან ხულოს 1 სკოლაში 2 მანდატურია. **2015-2017 წლებში,** პროგრამით „ბავშვთა მიმართ ძალადობა – გადამისამართების პროცედურები ბავშთა დაცვის საჭიროების შემთხვევებში“, საქართველოს მასშტაბით ყველა მანდატური გადამზადდა, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან, გადამზადდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი/დირექტორის მოადგილე).

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შე-

საბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის:

„წარჩინებულ **მოსწავლეთა მედლების** ქვეპროგრამით" , 2019-2020 წლებში გამოვლინდა 42 **ოქროსა** და10 **ვერცხლის მედალოსანი; საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 36 საჯარო სკოლის (101 მიმართულება) 1 316 მოსწავლე; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში. 2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს გადაეცა 1 923 **ჟურნალი** და 92 507 **სახელმძღვანელო** 2018 წელს **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღიჭურვა 5 სკოლა, ხოლო 2019 წელს, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით უზრუნველსაყოფად** განხორციელდა 50 პროექტი; 2019 წელს **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში** ხულოს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა 1 484 მოსწავლე; 2017-2019 წლებში, პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი"** ხულოს საჯარო სკოლებში დარიგდა 709 პორტაბელური კომპიუტერი; წახალისების მიზნით, დამრიგებლებს 93, ხოლო **წარჩინებულ მოსწავლეებს** 200 ლეპტოპი გადაეცათ. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით გამართულ **ინტელექტ-ჩემპიონატებში** მონაწილეობდა 629 მოსწავლე; 2020 წელს მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლაში დაინერგა **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის** ინსტრუმენტები, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების სისტემები. 2017 – 2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების** ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა 48 პროექტი. ამავე წელს **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით** უზრუნველყოფის მიზნით, დაბა ხულოს საჯარო სკოლას გადაეცა 10 კომპიუტერი, სოფელ ქვემო ვაშლოვნის საჯარო სკოლას – 5; **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები. 2019 წელს **ტრენინგი პედაგოგიური კურსის მიმართულებით** გაიარა 130-მა მასწავლებელმა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამებით, ხულოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: აგარის საჯარო სკოლის მშენებლობა (1 მლნ ლარი), ტუნაძეების საჯარო სკოლის მშენებლობა (647,5 ათასი ლარი), მოეწყო ქედლების საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია (55,8 ათასი ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძირკვაძეების (256 ათასი ლარი), თხილვანის (446,2 ათასი ლარი), დაბა ხულოს (886.5 ათასი ლარი), დიოკნისის (707,7 ათასი ლარი) საჯარო სკოლებს; განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა – რიყეთის, აგარის, დიდაჭარისა და ძირკვაძეების საჯარო სკოლები აღიჭურვა სასწავლო ინვენტარით; ხიხაძირის საჯარო სკოლაში მოეწყო ლაბორატორია (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის კომპლექტი); საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ხულოს პანსიონის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა (7 ათასი ლარი);

პროგრამით **სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში** – რეაბილიტაცია ჩაუტარდა ვაშლოვანისა და ხულოს საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებს (სულ 147,2 ათასი ლარი), ხოლო ღორჯომის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაზე 37,9 ათასი ლარი დაიხარჯა;

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტის 17 სოფლის საჯარო სკოლაში, რაზეც, ჯამში, 3 მლნ 173 ათასი ლარი დაიხარჯა.

დასრულების ეტაპზეა სოფელ ბეღლეთისა (2424.2 ათასი ლარი) და განახლების (1440.9 ათასი ლარი) სკოლების მშენებლობა. 2019 წელს 1 საჯარო სკოლას გადაეცა სასკოლო დაფა. 2 საჯარო სკოლას – კომპიუტერული ტექნიკა; **ადაპტირებულია** 29 საჯარო სკოლა; **ცენტრალური გათბობით** უზრუნველყოფილია 15 სკოლა.

2021 წელს მიმდინარეობს: სოფელ ზედა დეკანაშვილების დაწყებითი სკოლის მშენებლობა, რაზეც 75 ათასი ლარია გამოყოფილი, ხოლო სოფელ გურძაულში დაწყებითი სკოლის მშენებლობა 129 ათასი ლარით დაფინანსდება; **2021 წელს დაიწყება** კალოთის სკოლის ახალი შენობის მშენებლობა (800,0 ათასი ლარი). **მიმდინარეობს** ქვემო ვაშლოვანის ახალი პროფილური სკოლის მშენებლობის პროექტის შესყიდვა, სამუშაოების დაწყება 2021 წელსვე იგეგება. ასევე **მიმდინარეობს** დანისპარაულისა და წაბლანის ახალი სკოლების პროექტირება. **მიმდინარე წელს დაიწყება** ღორჯომის სკოლის სრული რეაბილიტაცია.

საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამით – 2014-2021 წლებში, 27 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურით (სულ – 12238 წიგნი); 16 სკოლაში განახლებულია **სასკოლო ინვენტარი,** 6 სკოლა უზრუნველყოფილია **ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიით** (ქვემო და ზედა ვაშლოვანი, ხიხაძირი ქედლები, დაბა ხულო, ოქრუაშვილები); 6 სკოლაში შეტანილია **სპორტული ინვენტარი** (დაბა ხულო, მეკეიძეები, ქვემო ვაშლოვანი, ირემაძეები, კორტოხი, ბეღლეთი); დაბა ხულოს სკოლა სარგებლობს **ელექტრონული ლაბორატორიით.**

ქვეპროგრამით „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის" – ხულოს საჯარო სკოლებში დასაქმდა სხვადასხვა საგნის 36 მასწავლებელი**,** შესაბამის სკოლებს გადაეცა სახელმძღვანელოები, მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების კურსები; პროგრამით **„სასკოლო კლუბების ხელშეწყობა" დაფინანსდა –** ძმაგულის საჯარო სკოლის კლუბი „თეატრი სოფელში", ხულოს საჯარო სკოლის ბავშვთა თეატრალური კლუბი და ბოძაურის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

საჭიროებების შესწავლის საფუძველზე შემუშავებული, ქვეყნის მასშტაბით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების გეგმის შესაბამისად, 2019 წლის გაზაფხულზე **ხულოში გაიხსნა** ქობულეთში მდებარე სსიპ **კოლეჯის „ახალი ტალღა" ფილიალი,** რომელიც 150 სტუდენტზეა გათვლილი. ორსართულიანი შენობის **სასწავლო ლაბორატორიები აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე სასწავლო ინვენტარით.** შენობის გარემო ადაპტირებულია, აღჭურვილია სველი წერტილებით, ლიფტით, ელექტრო და ინტერნეტ კომუნიკაციებით. დაბა ხულოში, კოლეჯი **ახორციელებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: სასტუმრო მომსახურება; სატყეო საქმე; ელექტროობა; კომპიუტერული ტექნოლოგიები; ვეტერინარია; მეფუტკრეობა.**

2019-2020 სასწავლო წელს, პროფესიული პროგრამების კურსი დაასრულა 36-მა სტუდენტმა (მათ შორის, 1 სსსმ პირი). 2020-2021 სასწავლო წელს, კოლეჯის „ახალი ტალღა", ხულოს ფილიალში **ჩაირიცხა 79 სტუდენტი** (მათ შორის, 1 სსსმ პირი). პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულია 188 სტუდენტი (მათ შორის, 2 სსსმ პირი).

2018-2019 წლებში, პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბაზაზე, განხორციელდა 8 პროექტი. სსიპ კოლეჯების „ბლექსი" და „ახალი ტალღა", ჩართულობით ხულოს საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის. საჯარო მმართველობის ადმინისტრირების კურსი დაასრულა 2-მა პირმა.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლების კურსდამთავრებულთა გარდა, ფინანსდებიან ობოლი, უდედმამო სტუდენტები. ასევე, სტუდენტები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, მარტოხელა სტატუსის მქონე ოჯახებიდან და შშმ პირები.

2018 წელი – სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 899 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი (962 200 ლარი);

2019 წელი – სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დაფინანსდა 891 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი (950 400 ლარი);

2020 წელი – სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დაფინანსდა 715 სტუდენტი (758 314 ლარი);

2021 წელი – დაფინანსდება 1280 სტუდენტი, განსაზღვრულია 1 390 000 ლარი.

უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **სოციალური პროგრამით, 2013-2016 წლებში, ხულოს მუნიციპალიტეტიდან დაფინანსდა 96 სტუდენტი,** რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. **2017 წელს დაფინანსდა 24 სტუდენტი. 2018 წლიდან** სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს აჭარის რეგიონის (ქედის, შუახევის, ხულოს, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა დაფინანსებას. 2018-2019 სასწავლო წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან დაფინანსდა 41 სტუდენტი; 2019-2020 სასწავლო წელს – 41. 2020-2021 სასწავლო წელს 41 სტუდენტი. **2022– 2024 წლებში ქვეპროგრამა გაგრძელდება ყოველწლიური ბიუჯეტით 1 000 000 ლარი.**

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- დაგეგმილია დიოკნისის საბავშვო ბაღის მშენებლობა – 330 ათასი ლარი; 2021-2022 წლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ირემაძეებში – 300 ათასი ლარი; 2022-2023 წლებში საბავშვო ბაღი აშენდება სოფელ წაბლანაში – 320 ათასი ლარი;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები; მთის სტატუსის მქონე 20-მდე საჯარო სკოლა მიიღებს დამატებით დაფინანსებას სკოლის საჭიროებებზე მორგებული პროექტის/ინიციატივის განსახორციელებლად;
- **2021 წელს მიმდინარეობს ქვემო ვაშლოვნის პროფილური სკოლის პროექტირება, ასევე, დაგეგმილია სამუშაოების წელსვე დაწყება;** 2022 წელს სოფელ ვაშლოვანში აშენდება საჯარო სკოლა; 2021 წელს უნდა დასრულდეს დაწყებითი სკოლის მშენებლობა სოფელ ზედა დეკანაშვილებში – 75 ათასი ლარი და სოფელ გურძაულში 129 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ხულოში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-�პᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი, სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმი, კულტურის ცენტრის საჯარო ბიბლიოთეკა, ხიხაძირის საჯარო ბილიოთეკა, საციხურის საჯარო ბიბლიოთეკა, დიდაჭარის ბიბლიოთეკა, სხალთის საჯარო ბიბლიოთეკა, კალოთის საჯარო ბიბლიოთეკა, რიყეთის საჯარო ბიბლიოთეკა, დიოკნისის საჯარო ბიბლიოთეკა, ღორჯომის საჯარო ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, ცენტრის ბაზაზე შექმნილი უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერმუხა“, ვოკალური ანსამბლი „ხულო“, მუსიკალური ბენდი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხიხაძირი“, ანსამბლი „ვაშლოვანი“, ანსამბლი „გოდერძი“, ანსამბლი „დიოკნისი“, ანსამბლი „ვერნები“, საციხურის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „საციხური“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „არგინეთი“ და ახალგაზრდული ანსამბლი „ხულო“.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 867,3 ათასი ლარით, 2020 წელს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 943 388 ლარი შეადგინა. ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის სფეროს დაფინანსება, **2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პერიოდში,** 1 253,0 ლარიდან 1 267,7 ლარამდე გაიზარდა, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობასა და დაფინასებას.

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. იმართება სახალხო ზეიმები „შუამთობა“, „სელიმობა“, „დიდაჭარლობა“ და „ტბელობა“, ეწყობოდა წიგნების, ჟუნალ-გაზეთებისა და ბავშვთა ნახატების გამოფენები, ტარდება წიგნის კვირეულები, კონკურსები, კონცერტები, მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

2019 წელს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით. მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტები თბილისის ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეთა მონაწილეობით.

ხულოს მუნიციპალიტეტში არსებულ **მუზეუმებში** იმართება სხვადასხვა სამეცნიერო და კულტურულ შემეცნებითი ღონისძიებები. გარდა ამისა, 2020 წლის მონაცემებით, მუზეუმებს **6 900 ვიზიტორი** სტუმრობდა, მათ შორის: სხალთა, შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი – 3 800 ვიზიტორი; თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი – 600; ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – 1 900; ხულოს გალერეა – 600 ვიზიტორი. მიმდინარე წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

მუნიციპალიტეტში არსებული **ბიბლიოთეკები** ახორციელებენ პროგრამებს, რომლითაც გათვალისწინებულია ტრენინგების, საჯარო ლექციების, არაფორმალური განათლების ხელშემწყობი და კალენდარული დღესასწაულებისა და სხვა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა.

სიმონ ართმელაძის სახელობის ხულოს სახელოვნებო სკოლის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო დონის საკონცერტო და სამხატვრო ღონისძიებებში. სახელოვნებო სკოლაში მოსწავლეებისთვის გახსნილია **თეატრალური და ანიმაციური ფილმების** სტუდიები. **2020 წლის** ნოემბერში **„კოვიდ-19“-თან დაკავშირებით ონლაინ გაიმართა ბავშვთა ნახატების გამოფენა –** წარმოდგენილი იყო სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა 12 ნახატი. **2019 წელს** კი თბილისში გამართულ „დრიმ სამიტის“ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მოსწავლეთა ნახატები გამოიფინა, ხულოელი მოსწავლეები **ბრინჯაოს მედლებითა და ფულადი** პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ანსამბლი „ციცნათელა“ წარმატებით მონაწილეობს მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში. 2020 წელს, ქ. ბათუმში, ბენზეს საკონცერტო დარბაზში გამართულ საქართველოს საერთაშორისო დასკვნით ფესტივალზე, ანსამბლმა **პირველი ადგილი მოიპოვა** და გადაეცა პრიზი „ოქროს ჩიტი“.

კოვიდპანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფონზე, პრაქტიკულად, გასულ და მიმდინარე წელს, კულტრული ღონისძიებები და პროექტები შეიზღუდა, რამაც ხელმისაწვდომობა შეამცირდა.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:

2014 წელი – საციხურის კულტურის სახლის რემონტი (140,6 ათასი ლარი); დაბა ხულოში ეთნოგრაფიული მუზეუმის კეთილმოწყობა (53,1 ათასი ლარი); ქვემო თხილვანაში მუზეუმის რემონტი (7,3 ათასი ლარი);

2016 წელი – სხალთის კულტურის სახლის რემონტი (153,0 ათასი ლარი); ოქრუაშვილების სასოფლო კლუბის მშენებლობა (193,1 ათასი ლარი).

2017 წელს აშენდა რიყეთის კულტურის სახლი, ღირებულება – 559,5 ათასი ლარი) და გარემონტდა ხიხაძირის კულტურის სახლი, ღირებულება – 86,5 ათასი ლარი;

2018 წელს ხულოს პროფესიული სახელმწოფო დრამატული თეატრის უკანა ფასადზე მოეწყო ლითონის სახანძრო კიბე – 5 700 ლარი;

2018 წელს სხალთაში კეთილმოეწყო შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის სახლმუზეუმის ეზო – 4 ათასი ლარი;

2019 წელს სოფელ კვატიაში მოეწყო ცენტრის ტერიტორია, დაიდგა მემორიალი – 22,3 ათასი ლარი; განხორციელდა ყინჩაურში, სხალთის მუზეუმის სარემონტო სამუშაოები – 14,2 ათასი ლარი;

აჭარის ა/რ მასშტაბით, მათ შორის ხულოში, **კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი: „დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“ (32 315 ლარი).

ხულოს მუნიციპალიტეტს ფარავს **ევროპის საბჭოს „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“ და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტები „ალ. დიუმას კვალდაკვალ“ და „წმ. ანდრიას გზა“,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲮᲣᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ Ა(Ა)ᲘᲞ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 162 384 ლარი შეადგინა. 2013 წელს სპორტის ხარჯები 224,8 ათასი ლარით განისაზღვრა.

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 3 შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს (36,4 ათასი ლარი).

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს **სპორტულ ღონისძიებათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა,** რომლის ფარგლებშიც, 2016 წლიდან ხორციელდება **წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ფულადი წახალისება** სპორტული შედეგების მიხედვით.

მუნიციპალიტეტი, ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტის პოპულარიზაციის მიზნით, ყოველწლიურად ატარებს სპორტულ ღონისძიებებს სხვადასხვა სახეობაში: ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფრენბურთი.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, სამთო-სათხილამურო სპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, მძლეოსნობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი და მკლავჭიდი.

კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ირიცხება 370 სპორტსმენი და 30 მწვრთნელი. აა(ი)პ საფეხბურთო კლუბ „ხიხანში“ 61 სპორტსმენი და 4 მწვრთნელი. **2020 წელს** სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა **ბერძნულ – რომაულ** ჭიდაობაში გამართულ **საქართველოს პირველობაზე** იასპარეზეს და **1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.** თხილამურებით სრიალში **საქართველოს თასის გათამაშებაზე** კი **2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს** მედალს დაეუფლნენ.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელი – ქვედა ვაშლოვანში (17,6 ათასი ლარი), ოქრუაშვილებში(15 ათასი ლარი), რიყეთში (34,3 ათასი ლარი), ზედა ვაშლოვანში(12,2 ათასი ლარი), დიაკონიძეებში (31,5 ათა-

ᲮᲣᲚᲝᲡ თეატრი

სი ლარი), მეკეიძეებში(29,4 ათასი ლარი); **2015 წელი –** დეკანაშვილებში(22,8 ათასი ლარი), ირემაძეებში (14,0 ათასი-ლარი), ხულოს ცენტრალური სტადიონი (60,4 ათასი ლარი), დიდაჭარაში (22 ათასი ლარი), ღორჯომში (16,1 ათასი ლარი), ქვედა ვაშლოვანში (49,3 ათასი ლარი), დიოკნისში 25 ათასი ლარი; **2016 წელი** -წაბლანაში (9,9 ათასი ლარი), მთისუბანში (41 ათასი ლარი), საციხურში(29,5 ათასი ლარი), მანიაკეთში (22,5 ათასი ლარი), ღურტაში(39,1 ათასი ლარი), ძმაგულაში (13,4 ათასი ლარი),ბეღლეთში(39,1 ათასი ლარი), ხიხაძირსა (28,4 ათასი ლარი) და უჩხოში(28,4 ათასი ლარი). **2017 წელს –** სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები განხორციელდა გელაურაში, ძირკვაძეებში, ტაბახმელაში, თაგოში, რაქვთაში, ბაკოში, დიდ რიყეთსა და წაბლანაში, რაზეც სულ 178,8 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა აა(ი)პ ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის დარბაზს – 67, 7 ათასი ლარი, განხორციელდა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 14,5 ათასი ლარი; **ხულოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო:** სოფელ გურძაულში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციისთვის 38 000 ლარი, სოფელ წაბლიანის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის 62 600 ლარი. სულ რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო 10 სპორტული მოედანი. **2018 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა კურორტ ბეშუმში არსებულ სპორტულ მოედანს (46,3 ათასი ლარი), ასევე მიმდინარეობს კურორტ ბეშუმში ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა (72,1 ათასი ლარი) და სოფელ სკვანაში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (31,6 ათასი ლარი).

2019 წელს – რეაბილიტირდა შუასოფლის (17,4 ათასი ლარი), ფუშრუკაულისა (32,8 ათასი ლარი) და კორტოხის (39,9 ათასი ლარი) სპორტული მოედნები. სოფელ შურმულში აშენდა მინი სპორტული მოედანი (43,0 ათასი ლარი); **2021 წელს** დასრულდა სოფელ ოქრუაშვილებში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (54,0 ათასი ლარი); 2021 წელს დაგეგმილია კურორტ ბეშუმში სპორტული მოედნის მშენებლობა (60,0 ლარი), სოფელ მეკეიძეებში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (47,1 ლარი), სოფელ ელელიძეებში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (35,0 ლარი), სოფელ შურმულში მინი სპორტულ მოედანზე გარე განათების მოწყობა (5,0 ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამით“** მუნიციპალიტეტში დასაქმებული მწვრთნელები იღებენ ფულად დანამატს.

ახალგაზრდული პოლიტიკა

მერიის ახალგაზრდობის სამსახურში ფუნქციონირებს ქვეპროგრამა „ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა“. ბოლო წლებში, გაიზარდა ახალგაზრდების მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროგრამების რაოდენობა. **2014-2016 წლებში –** მოეწყო 2-დღიანი ექსკურსია-ლაშქრობები: ყაზბეგი-სვანეთი-ქუთაისი-კახეთი, ხიხანის ციხის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმატებული და აქტიური ახალგაზრდები. **2017-2020 წლებში –** მოეწყო სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: „შეიცანი მშობლიური კუთხე“, შეიცანი საქართველო (ექსკურსია საქართველოს კუთხეებში),„ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ „მხიარული რეგიონი“, დაფინანსდნენ სხვადასხვა სოციალურ შემეცნებით პროექტში მონაწილე აქ-

ტიური ახალგაზრდები. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 281-მა ახალგაზრდამ (ჯამში 30,5 ათასი ლარი).

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი“ განახორციელა პროექტი „აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (18,1 ათასი ლარი). პროექტის მიზანი იყო აჭარის მაღალმთიანი დასახლებების სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა.

2020 წელს, სხვა ღონისძიებებს შორის, ხულოს კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკარებმა და ახალგაზრდა მკითხველებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეში. სტუდენტ ახალგაზრდობასთან შეხვედრის ორგანიზებაზე დაიხარჯა 1947 ლარი. დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება (8 და მეტ შვილიან დედებს, სხვადასხვა სფეროში მომუშავე ქალბატონებს, გადაეცათ საჩუქრები და მისალოცი ბარათები) 4300 ლარით დაფინანსდა. დედის დღესთან დაკავშირებით, ფულადი საჩუქრები გადაეცათ, აგრეთვე, საერთაშორისო მისიებსა და საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ჯარისკაცების დედებს (900 ლარი). **2017-2021 წლებში, განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებისთვის 318 357 ლარი დაიხარჯა.**

აჭარის ა/რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა განახორციელა: ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამა – 2014-2018 წლებში, ყოველწლიურად ხორციელდებოდა 7 ღონისძიება (წელიწადში 3800-მდე ახალგაზრდა, ბიუჯეტი 380 000 ლარი): ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი“, „ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერა (ჩატარდა 5 სახეობაში: ლიტერატურული კლუბი, სადისკუსიო კლუბი, გამომგონებელთა კლუბი, ხელოვანთა კლუბი და შშმ პირთა ჩართულობის კლუბი, ყოველწლიურად ჯამში 44 აქტივობა), ინტელექტუალური თამაშები, ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი, ლიდერთა სკოლა, „მხიარული რეგიონი“.

2019 წელს შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან აღნიშნული მიმართულება გადავიდა ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში. ექვსივე მუნიციპალიტეტთან ერთად, ხულოსაც მინიჭებული აქვს კვოტები. სს(ი)პ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 483 000 ლარი). ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 166 450 ლარი), კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (ბიუჯეტი – 219 700 ლარი), ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 184 000 ლარი), სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 65 000 ლარი).

2020 წელს ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროგრამები: არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 113 310 ლარი), ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 170 054 ლარი) და ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 90 103 ლარი).

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით სფეროში ხულოს მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2022-2024 წლებში დაგეგმილია ხიხანის ციხის გალავნის, გოდოლისა და მეციხოვნეების სადგომის რეაბილიტაცია (ჯამურად 570 ათასი ლარი);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ფარგლებში, 2021 წელს მიმდინარეობს ხიხანის მე-2 კოშკის რეაბილიტაცია – 80 ათასი ლარი.
- ქვემო თხილვანაში სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების მემორიალის მოწყობა – 10 ათასი ლარი;
- დაბა ხულოში სახელოვნებო სკოლისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობა – 450 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: დაგეგმილია კვატიის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; სხვადასხვა სოფლებში მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია – 300 ათასი ლარი; სოფელ ელელიძეების სპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 35 ათასი ლარი; სოფელ მეკეიძეებში სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა – 45,1 ათასი ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები, მათ შორის, ადგილობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის, ასევე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის დაგეგმილია საინფორმაციო-გაცნობითი ტურები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციაზე. ასევე დაგეგმილია ახალგაზრდული მერიისა და საკრებულოს შექმნა.
- 2021-2025 წლების განმავლობაში, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებისთვის გათვალისწინებულია – 524,6 ათასი ლარი.

ჩემო ძვირფასებო!

არ მეგულება ადამიანი, რომელსაც მშობლიური ქალაქი, სოფელი თუ დაბა უყვარს და არ უფიქრია მის განვითარებაზე, გალამაზებაზე, იმაზე, თუ რას, როგორ შეცვლიდა უკეთესობისკენ.

საკუთარი ფიქრების რეალურ ცხოვრებაში განხორციელების შესაძლებლობა ბევრს არ ეძლევა. სწორედ ამიტომ, ჩვენს გუნდს – „ქართულ ოცნებას“ უდიდეს მადლობას ვუხდი, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ხულოელების სამსახურში ყოფნა მერის რანგში მეორედ შემეძლება.

ხულოში დავიბადე და მთელი ცხოვრება აქ გავატარე, შესაბამისად, ჩემთვის თვალსაჩინოა ჩვენი მუნიციპალიტეტის ის უდიდესი პროგრესი, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლას უკავშირდება.

მიუხედავად ამისა, ვიცი, არაერთი გამოწვევა გვაქვს წინ. ასევე, ზუსტად ვიცი ისიც, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ განვითარების ტემპი კიდევ უფრო დავაჩქაროთ.

დაწყებული საქმე აუცილებლად გაგრძელდება და წინსვლა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება!

ხულოელების თანადგომაში დარწმუნებული ვარ და მჯერა, ეს ულამაზესი, უდიდესი ისტორიისა და ყველასგან გამორჩეული, უნიკალური კულტურის მხარე, 4 წლის შემდეგ კიდევ უფრო ფერადი და მდიდარი, ადგილობრივებისთვის მეტად კომფორტული, ტურისტებისთვის კი უფრო მიმზიდველი გახდება.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.